ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
მათემატიკის დეპარტამენტი

შალვა ზვიადაძე

ფურიეს შეუღლებული ტრიგონომეტრიული მწკრივების ზოგიერთი თვისების შესახებ

სადოქტორო დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი
თსუ ასოცირებული პროფესორი
ფიზ.-მათ. მეც. დოქტორი თეიმურაზ ახობაძე

თბილისი 2012

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

ფუნქციათა თეორიის ბევრი ძირითადი ცნება და შედეგი მიღებულ იქნა აპროქსიმაციის თეორიასთან დაკავშირებით. ამ თეორიის განვითარებამ წარმოაჩინა მისი მჭიდრო კავშირი ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის ბევრ პრობლემასთან. აპროქსიმაციის თეორიის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ფუნქციათა მწკრივების თეორია. ფუნქციათა მწკრივების თეორიაში ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ფუნქციისათვის იმ მინიმალური პირობების დადგენა, რაც უზრუნველყოფს ამ ფუნქციის წარმოდგენას ფუნქციათა მწკრივით. ფუნქციათა მწკრივით ფუნქციის წარმოდგენა ნიშნავს მის კრებადობას ან რომელიმე მეთოდით შეჯამებადობას მოცემული ფუნქციიისკენ.

ფუნქციათა თეორიის, და კერძოდ, კლასიკური ჰარმონიული ანალიზის ამოცანებისადმი ინტერესი გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მათემატიკის გამოყენებებისათვის ფრიად აქტუალური საკითხების გადაჭრა კლასიკურ ჰარმონიულ ანალიზს დაეყრდნო.

ახლანდელ დროში ჯერადი ტრიგონომეტრიული და ორთოგონალური მწკრივების თეორია სწრაფად ვითარდება. ის გადმოცემულია მრავალ მონოგრაფიასა და ნაშრომში, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ფ. ლუკაჩმა [1] დაამტკიცა, რომ ლებეგის აზრით ინტეგრებადი 2π-პერიოდული ფუნქციის ფურიეს შეუღლებული ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამების მიმდევრობა ფუნქციის პირველი გვარის წყვეტის წერტილებში განშლადია ლოგარითმის რიგით.

რ. რიადმა [2] განიხილა ლუკაჩის თეორემის ანალოგი შეუღლებული უოლშის მწკრივებისათვის.

ფ. მორისმა ([3], [4]) განაზოგადა ლუკაჩის ეს დებულება აბელ – პუასონის საშულოებისათვის, კერძოდ, მან აჩვენა, რომ ლებეგის აზრით ინტეგრებადი, 2π-პერიოდული ფუნქციის ფურიეს შეუღლებული ტრიგონომეტრიული მწკრივის აბელ – პუასონის საშუალოები ფუნქციის პირველი გვარის წყვეტის წერტილებში კვლავ განშლადია ლოგარითმის რიგით. აგრეთვე მან განიხილა შესაბამისი ანალოგი ფორმალურად გაწარმოებული აბელის საშუალოებისთვის.

მ. პინსკიმ [5] შეისწავლა ანლოგიური საკითხები ღერძზე ინტეგრებადი და არსებითად შემოსაზღვრული ფუნქციებისათვის; აგრეთვე, განიხილა აღნიშნული თეორემის ანალოგები გარკვეული ტიპის კენტი გულებისთვის.

ჩვენ ([6], [7]) მიერ განხილულ იქნა ლუკაჩის აღნიშნული თეორემის ანალოგი თ. ახობაძის ([7]-[10]) მიერ შემოღებული ჩეზაროს განზოგადებული (C,α_n)-საშუალოებისთვის და დადებითი რეგულარული მატრიცული შეჯამებადობისთვის. ნაჩვენები იქნა, რომ ლებეგის აზრით ინტეგრებადი, 2π-პერიოდული ფუნქციის ფურიეს შეუღლებული ტრიგონომეტრიული მწკრივის (C,α_n) საშუალოებისთვის განშლადობის ლოგარითმული რიგი შენარჩუნებულია, ხოლო ამ ფუნქციის ფურიეს შეუღლებული ტრიგონომეტრიული მწკრივის წრფივი საშუალოებისთვის შედეგი არსებითად დამოკიდებულია გასაშუალოების მატრიცზე.

პ. ჟოუმ და ს. ჟოუმ [11] დაამტკიცეს ლუკაჩის თეორემის ანალოგი ლოგარითმული რიგის მქონე კენტი გულებისთვის.

ი. დანშენგმა, პ. ჟოუმ და ს. ჟოუმ [12] განიხილეს ანალოგიური დებულებები მაღალი რიგის ფორმალური წარმოებულებისთვის და შეუღლებული პუასონის გულის ტიპის კენტი გულებისათვის.

რ. ტაბერსკიმ ([13], [14]) განიხილა ლოკალურად ინტეგრებადი ფუნქციები, როლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

$$\lim_{L\to+\infty}\frac{1}{L}\int_{L}^{L+C}\left|f(x)\right|dx=0\,,\quad \lim_{L\to+\infty}\frac{1}{L}\int_{-L-C}^{-L}\left|f(x)\right|dx=0\,.$$

მან განსაზღვრა ასეთი ფუნქციებისათვის ფურიეს კოეფიციენტები და შესაბამისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივი. მანვე შეისწავლა ამ ფუნქციების ტრიგონომეტრიული, შეუღლებული ტრიგონომეტრიული მწკრივებისა და მათი კერძო ჯამების $(C,1)$-საშუალოების ყოფაქცევის ზოგიერთი საკითხი.

ჩვენ [15] მიერ შესწავლილ იქნა ლუკაჩის აღნიშნული თეორემის ანალოგი ტაბერსკის მიერ განხილული ფუნქციებისა და მწკრივებისათვის; აგრეთვე, - ამ შედეგის ანალოგი ჩეზაროს განზოგადებული (C,α_n)-საშუალოსთვის და დადებითი რეგულარული მატრიცული შეჯამებადობისთვის.

ფ. მორისმა ([16], [17]) განაზოგადა ლუკაჩის აღნიშნული დებულება ორი ცვლადის ფუნქციებისათვის, კერძოდ, მან აჩვენა, რომ ლებეგის აზრით ინტეგრებადი, ცალ-ცალკე ცვლადების მიმართ 2π-პერიოდული ფუნქციის, ფურიეს შეუღლებული ორჯერადი ტრიგონომეტრიული მწკრივი, გარკვეულ პირობებში კვლავ განშლადია ლოგარითმების ნამრავლის რიგით; მანვე განაზოგადა აღნიშნული დებულება აბელ-პუასონის საშუალოებისთვის და განიხილა შეუღლებული ორჯერადი ტრიგონომეტრიული მწკრივის აპელ–პუასონის საშუალოს შეფასება ფუნქციის მეორე რიგის შერეული კერძოწარმოებულის სიგლუვის წერტილებში.

ი. დანშენგმა, პ. ჟოუმ და ს. ჟოუმ [18] განიხილეს მორისის დებულებების ანალოგები მაღალი რიგის შერეული კერძო წარმოებულებისთვის და შეუღლებული პუასონის გულის ტიპის კენტი გულებისათვის.

ჩვენ [19] მიერ განზოგადებული იქნა ფ. მორისის აღნიშნული შედეგი; აგრეთვე მიღებულია ამ შედეგის ანალოგი ჩეზაროს განზოგადებული (C,α_n,β_n)-საშუალოსთვის და დადებითი რეგულარული მატრიცული შეჯამებადობისთვის.

ფ. მორისმა და ვ. ვეიდმა [20] განიხილეს აღნიშნული თეორემის ანალოგი ორჯერადი ფურიე – უოლშის მწკრივებისათვის.

თავი I

ერთი ცვლადის ფუნქციების ფურიეს შეუღლებული ტრიგონომეტრიული მწკრივები

1.1. აუცილებელი აღნიშვნები, განსაზღვრებები და ძირითადი თეორემები ერთი ცვლადის პერიოდული ფუნქციებისათვის

ვთქვათ f არის 2π პერიოდული, ნამდვილი ცვლადის ნამდვილი ფუნქცია და პერიოდზე ლებეგის აზრით ინტეგრებადი. ამ ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივს აქვს შემდეგი სახე:

(1.1) $$\frac{a_0}{2}+\sum_{k=1}^{\infty}(a_k\cos kx+b_k\sin kx),$$

სადაც

$$a_k=\frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi}f(x)\cos kxdx \quad \text{და} \quad b_k=\frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi}f(x)\sin kxdx,$$

არის f ფუნქციის ფურიეს კოეფიციენტები. (1.1) მწკრივის შეუღლებული მწკრივი ასე მოიცემა:

(1.2) $$\sum_{k=1}^{\infty}(a_k\sin kx-b_k\cos kx).$$

$S_n(f;x)$-ით აღვნიშნოთ (1.2) მწკრივის n-ური კერძო ჯამი.

ლუკაჩმა დაამტკიცა შემდეგი თეორემა.

თეორემა A. თუ $f\in L[-\pi;\pi]$ და რაიმე x წერტილში არსებობს სასრული ზღვარი

(1.3) $$d_x(f)\equiv\lim_{t\to 0+}[f(x+t)-f(x-t)],$$

მაშინ

$$\lim_{n\to+\infty}\frac{\tilde{S}_n(f;x)}{\ln n}=-\frac{d_x(f)}{\pi}.$$

ვთქვათ α_n არის რაიმე მიმდევრობა $[0;b]$ ინტერვალიდან, სადაც b არის სასრული რიცხვი. შეუღლებული ტრიგონომეტრიული მწკრივის (1.2) კერძო ჯამის ჩეზაროს განზოგადებულ საშუალოს ექნება შემდეგი სახე:

(1.4) $$t_n^{\alpha_n}(f;x)\equiv\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}\tilde{S}_k(f;x)=-\frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi}f(x+t)\tau_n^{\alpha_n}(t)dt,$$

სადაც

$$\tau_n^{\alpha_n}(t) \equiv \frac{1}{A_n^{\alpha_n}} \sum_{k=0}^{n} A_{n-k}^{\alpha_n - 1} \tilde{D}_k(t)$$

და

(1.5)
$$A_n^{\alpha_n} \equiv \frac{(1+\alpha_n)(2+\alpha_n)\cdot \ldots \cdot (n+\alpha_n)}{n!}.$$

თუ (α_n) არის მუდმივი მიმდევრობა, ანუ $\alpha_n = \alpha$, $\forall n \in \mathbb{N}$, მაშინ ეს საშუალო დაემთხვევა ჩეზაროს (C,α) საშუალოს.

დავუშვათ

$$\varphi(x,t) = f(x+t) - f(x-t) - d_x(f),$$

სადაც $d_x(f)$ რაიმე რიცხვია დამოკიდებული ფუნქციაზე და წერტილზე.

სამართლიანია შემდეგი:

თეორემა 1.1.1. ვთქვათ $f \in L[-\pi;\pi]$ და რაიმე x წერტილისთვის მოიძებნება ისეთი $d_x(f)$ რიცხვი, რომ სრულდება ტოლობა:

(1.6)
$$\lim_{h\to 0+} \frac{1}{h} \int_0^h |\varphi(x,t)| dt = 0.$$

მაშინ

(1.7)
$$\lim_{n\to+\infty} \frac{t_n^{\alpha_n}(f;x)}{\ln n} = -\frac{d_x(f)}{\pi}.$$

დაისვა საკითხი: არსებობს, თუ არა ამ დებულების ანალოგი უფრო ზოგადი წრფივი საშუალოებისათვის.

ვთქვათ $q(n)$ არის მიმდევრობა, რომელის მნიშვნელობები ნატურალური რიცხვებია, ამასთან $2 \le q(n)$, $\forall n \in \mathbb{N}$ და $\lim\limits_{n\to+\infty} q(n) = +\infty$. ავიღოთ გასაშუალოების მატრიცი (a_{nk}) ისე, რომ თუ $k > q(n)$, მაშინ $a_{nk} = 0$.

ფურიეს შეუღლებული ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამების წრფივ საშუალოს აღნიშნული მატრიცის მიმართ ექნება შემდეგი სახე:

$$\tilde{\sigma}_n(f;x) \equiv \sum_{k=0}^{q(n)} a_{nk} \tilde{S}_k(f;x) = -\frac{1}{\pi} \int_{-\pi}^{\pi} f(x-t) \sum_{k=0}^{q(n)} a_{nk} \tilde{D}_k(t) dt.$$

მატრიცს ეწოდება რეგულარული თუ სრულდება შემდეგი სამი პირობა

(I)
$$\lim_{n\to+\infty} a_{nk} = 0, \quad k \in \{1,2,\ldots\};$$

(II)
N_n-შემოსაზღვრულია, სადაც $N_n = \sum\limits_{k=1}^{+\infty} |a_{nk}|$;

(III)
$$\lim_{n\to+\infty} A_n = 1, \text{ სადაც } A_n = \sum_{k=1}^{+\infty} a_{nk}.$$

ვთქვათ მოცემულია რაიმე s სასრული ზღვრისკენ კრებადი (s_k) მიმდევრობა, მაშინ (s_k) მიმდევრობის რეგულარული მატრიცის მიმართ σ_k საშუალოც კრებადია იგივე s ზღვრისკენ. აღსანიშნავია, რომ მოყვანილი სამი პირობა არის აუცილებელი და საკმარისი (იხ. [21] თავი III თეორემა (1.2)).

სამართლიანია შემდეგი:

თეორემა 1.1.2. ვთქვათ $f \in L[-\pi;\pi]$, მაშინ ყოველ x წერტილში, რომელშიც სრულდება (1.6) გვაქვს:

ა) თუ $d_x(f) \neq 0$, მაშინ, ნებისმიერი დადებითი რეგულარული მატრიცისთვის

$$\overline{\lim_{n\to+\infty}}\left(\frac{-\pi}{d_x(f)}\cdot\frac{\tilde{\sigma}_n(f;x)}{\ln q(n)}\right)\leq 1;$$

ბ) ნებისმიერი $\beta \in [0;1]$-თვის მოიძებნება ისეთი რეგულარული დადებითი მატრიცი, რომ

$$\lim_{n\to+\infty}\frac{\tilde{\sigma}_n(f;x)}{\ln q(n)} = -\frac{\beta\cdot d_x(f)}{\pi}.$$

1.2. აუცილებელი აღნიშვნები, განსაზღვრებები და ძირითადი თეორემები ერთი ცვლადის ლოკალურად ჯამებადი ფუნქციებისათვის

ჩვენ ინტერესს წარმოადგენს განვიხილოთ აღნიშნული შედეგების ანალოგები რ. ტაბერსკის მიერ განხილული მწკრივებისთვის; აგრეთვე ამ შედეგების ანალოგი აბელის საშუალოსათვის, რომელიც პერიოდული ფუნქციებისათვის მოცემული ჰქონდა ფ. მორისს (იხ. [3], [4]).

შემოვიღოთ აღნიშვნები: ვთქვათ $f:\mathbb{R}\to\mathbb{R}$, $f\in E$. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი დადებითი ფიქსირებული C-თვის, L-ის მიმართ სრულდება

$$\frac{1}{L}\int_{L}^{L+C}\left|f(x)\right|dx=O(1),\ \frac{1}{L}\int_{-L-C}^{-L}\left|f(x)\right|dx=O(1),\ L\to+\infty. \tag{1.8}$$

ცხადია, ნებისმიერი პერიოდული ფუნქცია აკმაყოფილებს უკანასკნელ შეფასებებს.

განვიხილოთ მწკრივი

$$\sum_{k\in\mathbb{Z}}\widehat{f}(k)e^{i\pi kx/L},$$

სადაც

$$\widehat{f}(k)\equiv\frac{1}{L}\int_{-L}^{L}f(u)e^{-i\pi ku/L}du.$$

მოცემული მწკრივის შეუღლებული მწკრივის კერძო ჯამს ექნება სახე

$$\tilde{S}_n^L(f;x)\equiv\sum_{|k|\le n}(-i\operatorname{sig}k)\,\widehat{f}(k)e^{i\pi kx/L}=-\frac{1}{L}\int_{-L}^{L}f(t)\tilde{D}_n^L(t-x)dt, \tag{1.9}$$

სადაც

$$\tilde{D}_n^L(t)\equiv\sum_{k=1}^{n}\sin(\pi kt/L). \tag{1.10}$$

დავუშვათ $L(n)\equiv L_n$ ნამდვილ რიცხვთა ისეთი მიმდევრობაა, რომ $\lim\limits_{n\to+\infty}L_n=+\infty$.

სამართლიანია შემდეგი:

თეორემა 1.2.1. (i) ვთქვათ $f\in E$, მაშინ ყოველ $x\in\mathbb{R}$ წერტილში, რომლისთვისაც სრულდება (1.6) და

$$\int_{1}^{L_n}\frac{\left|\varphi(x,t)\right|}{t}dt=o(\ln n),\ n\to\infty, \tag{1.11}$$

ადგილი ექნება ტოლობას

$$\lim_{n\to\infty}\frac{\tilde{S}_n^{L_n}(f;x)}{\ln n}=-\frac{d_x(f)}{\pi}. \tag{1.12}$$

(ii) არსებობს L_n მიმდევრობა და პერიოდული f ფუნქცია, ისეთი, რომ ადგილი აქვს შეფასებას

$$\int_{1}^{L_n}\frac{\left|\varphi(x,t)\right|}{t}dt=O(\ln n), \tag{1.13}$$

მაგრამ არ სრულდება (1.12).

ისევე როგორც წინა პარაგრაფში, დაისვა საკითხი თეორემა 1.2.1-ის ანალოგის არსებობის შესახებ ჩეზაროს განზოგადებული საშუალოებისთვის და დადებითი რეგულარული წრფივი საშუალოებისათვის.

(1.9) კერძო ჯამების ჩეზაროს განზოგადებულ საშუალოს ექნება სახე

$$t_{n,\alpha_n}^{L}(f;x)\equiv\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}\tilde{S}_k^{L}(f;x)=$$

$$=-\frac{1}{L}\int_{-L}^{L}f(t)\tau_{n,\alpha_n}^{L}(t-x)dt\ ,$$

სადაც

$$\tau_{n,\alpha_n}^{L}(f;x)=\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}\tilde{D}_k^{L}(t)\,,$$

ხოლო $\alpha_n\in[0;b]$ ყოველი n-თვის, b სასრული რიცხვია და $A_n^{\alpha_n}$ გასაზღვრულია (1.5)-ით.

სამართლიანია შემდეგი:

თეორემა 1.2.2. (i) ვთქვათ $f\in E$, მაშინ ყოველ $x\in\mathbb{R}$ წერტილში, რომელშიც სრულდება (1.6) და (1.11) გვაქვს

(1.14) $$\lim_{n\to\infty}\frac{t_{n,\alpha_n}^{L_n}(f;x)}{\ln n}=-\frac{d_x(f)}{\pi}\,.$$

(ii) არსებობს L_n მიმდევრობა და პერიოდული f ფუნქცია, რომ სრულდება (1.13), მაგრამ არ არსებობს α_n მიმდევრობა, რომლისთვისაც შესრულდება (1.14).

თეორემა 1.2.1-ის ანალოგი მატრიცული საშუალოებისათვის ჩამოყალიბდება შემდეგნაირად. ვთქვათ $q(n)$ ნატურალურ რიცხვთა არაკლებადი მიმდევრობა, ამასთან $2\le q(n)$, $\forall n\in\mathbb{N}$ და $\lim_{n\to+\infty}q(n)=+\infty$. ავიღოთ გასაშუალოების მატრიცი (a_{nk}) ისე, რომ თუ $k>q(n)$, მაშინ $a_{nk}=0$.

(1.9) კერძო ჯამების წრფივ საშუალოს აღნიშნული მატრიცის მიმართ აქვს სახე

$$\tilde{\sigma}_n^{L}(f;x)\equiv\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{S}_k^{L}(f;x)=-\frac{1}{L}\int_{-L}^{L}f(t)\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k^{L}(t-x)dt\,.$$

სამართლიანია შემდეგი:

თეორემა 1.2.3. (i) ვთქვათ $f\in E$, მაშინ ყოველ $x\in\mathbb{R}$ წერტილში, რომელშიც სრულდება (1.6) და

(1.15) $$\int_{1}^{L_n}\frac{|\varphi(x,t)|}{t}dt=o(\ln q(n))\,,$$

ადგილი აქვს შემდეგს:

ა) თუ $d_x(f)\ne 0$, მაშინ ნებისმიერი დადებითი რეგულარული მატრიცისთვის გვაქვს

(1.16) $$\overline{\lim_{n\to+\infty}}\left(\frac{-\pi}{d_x(f)}\frac{\tilde{\sigma}_n^{L_n}(f;x)}{\ln q(n)}\right)\le 1\,;$$

ბ) $\forall\beta\in[0;1]$-თვის მოიძებნება ისეთი დადებითი, რეგულარული მატრიცი, რომ

(1.17) $$\lim_{n\to+\infty}\frac{\tilde{\sigma}_n^{L_n}(f;x)}{\ln q(n)}=-\frac{\beta\cdot d_x(f)}{\pi}\,.$$

(ii) არსებობს L_n, $q(n)$ მიმდევრობები და პერიოდული f ფუნქცია ისეთი, რომ

(1.18) $$\int_1^{L_n} \frac{|\varphi(x,t)|}{t} dt = O(\ln q(n)) .$$

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს $\beta \in [0;1]$ და მისიშესაბამისი დადებითი, რეგულარული მატრიცი არ შერსულდება (1.17).

ბუნებრივია დაისვა საკითხი თეორემა 1.2.1.-ის ანალოგის არსებობის შესახებ აბელ-პუასონის საშუალოებისათვის. შემოვიღოთ აღნიშვნები.

ტაბერსკის მიერ განხილული შეუღლებული ტრიგონომეტრიული მწკრივების აბელ-პუსონის საშუალოს ექნება სახე:

(1.19) $$\tilde{f}^{L}(r,x) \equiv \sum_{k\in\mathbb{Z}} (-i\operatorname{sig} k)\,\widehat{f}(k) e^{i\pi kx/L} r^{|k|} = -\frac{1}{L}\int_{-L}^{L} f(t) Q_L(r,t-x)dt ,$$

სადაც

(1.20) $$Q_L(r,t) = \sum_{k\in\mathbb{N}} r^k \sin(\pi kt/L) .$$

ვთქვათ მოცემულია ფუნქცია $L:[0;1) \to \mathbb{R}$ ისეთი, რომ

(1.21) $$\lim_{r\to 1-} L(r) = +\infty .$$

სამართლიანია შემდეგი

თეორემა 1.2.4. (i) ვთქვათ $f \in E$, მაშინ ყოველ $x \in \mathbb{R}$ წერტილში სრულდება (1.6) და

(1.22) $$\int_1^{L(r)} \frac{|\varphi(x,t)|}{t} dt = o(\ln(1-r)) , \quad r \to 1- .$$

ადგილი აქვს ტოლობას

(1.23) $$\lim_{r\to 1-} \frac{\tilde{f}^{L(r)}(r,x)}{\ln(1-r)} = \frac{d_x(f)}{\pi} .$$

(ii) არსებობს პერიოდული f ფუნქცია და ფუნქცია L ისეთი, რომ

(1.24) $$\int_1^{L(r)} \frac{|\varphi(x,t)|}{t} dt = O(\ln(1-r)) , \quad r \to 1- ,$$

მაგრამ არ სრულდება (1.23).

1.3. პერიოდული ფუნქციების ფურიეს შეუღლებული ტრიგონომე-ტრიული მწკრივების ყოფაქცევის შესახებ ძირითადი თეორემების დამტკიცება

თეორემა 1.1.1-ის დამტკიცება

განვიხილოთ $t_n^{\alpha_n}(f;x)$. ვინაიდან $\tau_n^{\alpha_n}(t)$ და $f(x+t)-f(x-t)$ t-ს მიმართ კენტი ფუნქციებია, ინტეგრალის ადიციურობიდან გვექნება:

$$t_n^{\alpha_n}(f;x)=-\frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi}[f(x+t)-f(x-t)]\tau_n^{\alpha_n}(t)dt=$$

$$=-\frac{1}{\pi}\int_0^{\pi}\left[f(x+t)-f(x-t)-d_x(f)\right]\tau_n^{\alpha_n}(t)dt-$$

$$-\frac{d_x(f)}{\pi}\int_0^{\pi}\tau_n^{\alpha_n}(t)dt=A_1(n)+A_2(n).$$

განვიხილოთ $A_1(n)$, (1.6)-ის ძალით, ნებისმიერი დადებითი ε რიცხვისთვის მოიძებნება ისეთი დადებითი $\delta=\delta(\varepsilon)$ რიცხვი, რომ

$$\frac{1}{\delta}\int_0^{\delta}|\varphi(x,t)|\,du<\varepsilon .$$

ავიღოთ n იმდენად დიდი რომ $1/n<\delta$,

$$A_1(n)=-\frac{1}{\pi}\int_0^{\pi}\varphi(x,t)\tau_n^{\alpha_n}(t)dt=$$

$$=-\frac{1}{\pi}\int_0^{1/n}\varphi(x,t)\tau_n^{\alpha_n}(t)dt-\frac{1}{\pi}\int_{1/n}^{\delta}\varphi(x,t)\tau_n^{\alpha_n}(t)dt-$$

$$-\frac{1}{\pi}\int_{\delta}^{\pi}\varphi(x,t)\tau_n^{\alpha_n}(t)dt=-B_1-B_2-B_3.$$

(1.5) განსაზღვრებიდან ადვილი დასანახია, რომ $A_k^{\alpha_n-1}$ რიცხვები დადებითია, როცა $0\le\alpha_n$, ამასთან თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ $\left|\tilde{D}_k(t)\right|\le k$ (იხ. [21], (5.11)), გვექნება

$$|B_1|\le\frac{1}{\pi}\int_0^{1/n}|\varphi(x,t)|\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}|\tilde{D}_k(t)|dt<$$

$$<\frac{n}{\pi}\int_0^{1/n}|\varphi(x,t)|\,dt<\frac{\varepsilon}{\pi}.$$

(იხ. [21], (5.11)), $\left|\tilde{D}_k(t)\right|\le 2/t$. ნაწილობითი ინტეგრებით გვექნება:

$$|B_2|\le\frac{1}{\pi}\int_{1/n}^{\delta}|\varphi(x,t)|\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}|\tilde{D}_k(t)|dt\le$$

$$\le\frac{2}{\pi}\int_{1/n}^{\delta}\left|\varphi(x,t)\right|\frac{1}{t}dt=\frac{2}{\pi}\int_{1/n}^{\delta}\frac{1}{t}d\int_0^t\left|\varphi(x,u)\right|du=$$

$$=\frac{2}{\pi}\frac{1}{t}\int_0^t\left|\varphi(x,u)\right|du\Bigg|_{1/n}^{\delta}+\frac{2}{\pi}\int_{1/n}^{\delta}\frac{1}{t^2}\int_0^t\left|\varphi(x,u)\right|du\le$$

$$=\frac{2}{\delta}\int_0^{\delta}\left|\varphi(x,u)\right|du+\frac{2n}{\pi}\int_0^{1/n}\left|\varphi(x,u)\right|du+$$

$$+\varepsilon 2\int_{1/n}^{\delta}\frac{1}{t}dt\le 2\varepsilon\ln n\,,$$

ამასთან f-ის ინტეგრებადობიდან მივიღებთ

$$|B_3|\le\frac{1}{\pi}\int_{\delta}^{\pi}|\varphi(x,t)|\frac{1}{A_n^{\alpha_n}}\sum_{k=0}^{n}A_{n-k}^{\alpha_n-1}|\tilde{D}_k(t)|dt\le$$

$$\le 2\int_{\delta}^{\pi}\left|\varphi(x,t)\right|\frac{1}{t}dt\le\frac{2}{\delta}\int_{\delta}^{\pi}\left|\varphi(x,t)\right|dt\le$$

$$\le\frac{2}{\delta}\int_0^{\pi}\left|\varphi(x,t)\right|dt=O(1)\,,$$

ამრიგად,

(1.25)
$$\lim_{n\to+\infty}\frac{A_1(n)}{\ln n}=0\,.$$

შევაფასოთ $A_2(n)$. α_n მიმდევრობა დავყოთ ორ ქვემიმდევრობად შემდეგნაირად: $\alpha_{m_i}\in[0;1)$ და $\alpha_{k_i}\in[1;b]$, $\forall i\in\mathbb{N}$. $\{m_1,m_2,...\}\cup\{k_1,k_2,...\}=\mathbb{N}$, $\{m_1,m_2,...\}\cap\{k_1,k_2,...\}=\varnothing$.

ჯერ განვიხილოთ α_{m_i} ქვემიმდევრობა:

$$\int_0^{\pi}\tau_i^{\alpha_{m_i}}(t)dt=\int_0^{\pi}\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}\tilde{D}_k(t)dt=$$

$$=\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}\int_0^{\pi}\tilde{D}_k(t)dt=\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k\,.$$

გვაქვს

$$\int_0^{\pi}\tilde{D}_n(t)dt=\sum_{i=1}^{n}\int_0^{\pi}\sin itdt=$$

$$=\sum_{i=1}^{n}\frac{-\cos it}{i}\bigg|_0^{\pi}=\sum_{i=1}^{n}\left(\frac{-\cos i\pi}{i}+\frac{\cos 0}{i}\right)=$$

$$=\sum_{i=1}^{n}\frac{1}{i}-\sum_{i=1}^{n}\frac{(-1)^i}{i}=2\left(1+\frac{1}{3}+...+\frac{1}{2s+1}\right),$$

სადაც $s=[(n-1)/2]$. ცხადია,

$$2\left(1+\frac{1}{3}+...+\frac{1}{2s+1}\right)=$$

$$=2\left[\left(1+\frac{1}{2}+\frac{1}{3}+...+\frac{1}{2s+1}\right)-\frac{1}{2}\left(1+\frac{1}{2}+\frac{1}{3}+...+\frac{1}{s}\right)\right]\simeq$$

$$\simeq 2\left(\ln s-\frac{1}{2}\ln s\right)=\ln s\,.$$

ადვილი დასანახია, რომ $\ln s\simeq\ln n$, ამიტომ ნებისმიერი $\varepsilon>0$ არსებობს ისეთი $N=N(\varepsilon)$, რომ ყოველი $k\ge N$, გვაქვს

(1.26)
$$1-\varepsilon<\frac{U_k}{\ln k}<1+\varepsilon\,.$$

განვიხილოთ

$$\frac{1}{\ln i}\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k=\frac{1}{\ln i}\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k+$$

$$+\frac{1}{\ln i}\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=[i/M]+1}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k=D_1+D_2\,.$$

უკანასკნელი გამოსახულება შევაფასოთ ქვემოდან. (1.26)-ის ძალით გვაქვს

$$D_2=\frac{1}{\ln i}\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=[i/M]+1}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k>$$

$$>\frac{1}{\ln i}\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=[i/M]+1}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}(1-\varepsilon)\ln k>$$

$$>\frac{(1-\varepsilon)(\ln i-\ln M)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=[i/M]+1}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}=$$

$$=\frac{(1-\varepsilon)(\ln i-\ln M)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\left(\sum_{k=0}^{i}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}-\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}\right)=$$

$$=(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)-(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}=$$

$$=E_1-E_2\,.$$

თუ $0<\alpha_{m_i}<1$, მაშინ $-1<\alpha_{m_i}-1<0$. აქედან გამომდინარეობს $A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}$-ს კლებადობა. ამგვარად, გვექნება

$$E_2=(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}\le$$

$$\le(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-[i/M]}^{\alpha_{m_i}-1}\,.$$

თუ $M=M(\varepsilon)$-ს იმდენად დიდს ავიღებთ, რომ $1/M<\varepsilon$ და $A_i^{\alpha_{m_i}}$ რიცხვების შეფასებებს გავითვალისწინებთ (იხ. [9] ლემა 2), მივიღებთ

$$(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-[i/M]}^{\alpha_{m_i}-1}=$$

$$=O\left(\frac{i^{-\alpha_{m_i}}\cdot\alpha_{m_i}}{\left(i-i/M\right)^{1-\alpha_{m_i}}}\cdot\frac{i}{M}\right)=O\left(\frac{i^{-\alpha_{m_i}}\cdot\alpha_{m_i}}{i^{1-\alpha_{m_i}}}\cdot\frac{i}{M}\right)=o(1)\,.$$

ანუ

$$E_1=(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)$$

და

$$E_2=o(1)\,.$$

ამის გარდა, (1.26) ძალით და $A_i^{\alpha_{m_i}}$ მიმდევრობის კლებადობის გამო i-ს მიმართ სამართლიანია D_1-ის შემდეგი შეფასება:

$$D_1=\frac{1}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=0}^{N}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k+\frac{1}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{m_i}}}\sum_{k=N+1}^{[i/M]}A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1}U_k\ge$$

$$\geq \frac{C_1(N)}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{N} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} + \frac{1}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=N+1}^{[i/M]} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} (1-\varepsilon) \ln k \geq$$

$$\geq \frac{C_1(N)}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{N} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} + \frac{(1-\varepsilon) \ln N}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=N+1}^{[i/M]} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} \geq$$

$$\geq \frac{C_1(N)}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{N} A_i^{\alpha_{m_i}-1} + \frac{(1-\varepsilon) \ln N}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=N+1}^{[i/M]} A_i^{\alpha_{m_i}-1} =$$

$$= O\left(\frac{i^{-\alpha_{m_i}} \cdot \alpha_{m_i}}{i^{1-\alpha_{m_i}} \ln i} \right) + O\left(\frac{i^{-\alpha_{m_i}} \cdot \alpha_{m_i}}{i^{1-\alpha_{m_i}} \ln i} \cdot \left(\frac{i}{M} - N \right) \right) =$$

$$= O\left(\frac{1}{i \ln i} \right) + O\left(\frac{(i-MN) \cdot i^{-\alpha_{m_i}} \cdot \alpha_{m_i}}{i^{1-\alpha_{m_i}} \cdot M \cdot \ln i} \right) =$$

$$= O\left(\frac{1}{i \ln i} \right) + O\left(\frac{1}{\ln i} \right),$$

სადაც

$$C_1(N) = \min_{0 \leq k \leq i} |U_k| .$$

მაშასადამე,

$$\varliminf_{i \to +\infty} \frac{1}{\ln i} \int_0^{\pi} \tau_i^{\alpha_{m_i}}(t) dt = \varliminf_{i \to +\infty} (D_1 + D_2) \geq$$

$$\geq \lim_{i \to +\infty} (D_1 + E_1 - E_2) = \lim_{i \to +\infty} E_1 = 1 .$$

$A_2(n)$ წევრში მოცემული ინტეგრალი შევაფასოთ ზემოდან. (1.26)-ის ძალით გვაქვს

$$\frac{1}{\ln i} \int_0^{\pi} \tau_i^{\alpha_{m_i}}(t) dt = \frac{1}{\ln i} \int_0^{\pi} \frac{1}{A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{i} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} \tilde{D}_k(t) dt =$$

$$= \frac{1}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{i} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} \int_0^{\pi} \tilde{D}_k(t) dt = \frac{1}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{i} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} U_k =$$

$$= \frac{1}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{N} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} U_k + \frac{1}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=N+1}^{i} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} U_k \leq$$

$$= \frac{1}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{N} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} U_k + \frac{1}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=N+1}^{i} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} (1+\varepsilon) \ln k \leq$$

$$\leq \frac{C_2(N)}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{N} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} + \frac{(1+\varepsilon) \ln i}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=N+1}^{i} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} .$$

$A_i^{\alpha_{m_i}}$ მიმდევრობის i-ს მიმართ კლებადობის გამო და $A_i^{\alpha_{m_i}}$ რიცხვების წარმოდგენიდან (იხ. [9] ლემა 2) მივიღებთ:

$$\frac{C_2(N)}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{N} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} + \frac{(1+\varepsilon) \ln i}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=N+1}^{i} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} \leq$$

$$\leq \frac{C_2(N)}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{N} A_{i-N}^{\alpha_{m_i}-1} + \frac{(1+\varepsilon)}{A_i^{\alpha_{m_i}}} \left(\sum_{k=0}^{i} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} - \sum_{k=0}^{N} A_{i-k}^{\alpha_{m_i}-1} \right) \leq$$

$$\leq \frac{C_2(N)}{\ln i \cdot A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{N} A_{i-N}^{\alpha_{m_i}-1} + (1+\varepsilon) - \frac{(1+\varepsilon)}{A_i^{\alpha_{m_i}}} \sum_{k=0}^{N} A_i^{\alpha_{m_i}-1} =$$

$$=1+\varepsilon+O\left(\frac{(i-N)^{\alpha_{m_i}-1}\cdot\alpha_{m_i}}{i^{\alpha_{m_i}}\ln i}\right)+O\left(\frac{i^{\alpha_{m_i}-1}\cdot\alpha_{m_i}}{i^{\alpha_{m_i}}\ln i}\right)=$$

$$=1+\varepsilon+O\left(\left(1-\frac{N}{i}\right)^{\alpha_{m_i}}\frac{1}{(i-N)\ln i}\right)+O\left(\frac{1}{i\ln i}\right)$$

$$=1+\varepsilon+O\left(\frac{1}{i\ln i}\right),$$

სადაც

$$C_2(N)=\max_{0\le k\le N}\left|U_k\right|,$$

ე. ი.

$$\overline{\lim_{i\to+\infty}}\frac{1}{\ln i}\int_0^\pi \tau_i^{\alpha_{m_i}}(t)dt\le 1.$$

საბოლოოდ მივიღებთ:

$$\lim_{i\to+\infty}\frac{1}{\ln i}\int_0^\pi \tau_i^{\alpha_{m_i}}(t)dt=1.$$

განვიხილოთ α_{k_i} ქვემიმდევრობა. გვაქვს

$$\frac{1}{\ln i}\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j=\frac{1}{\ln i}\frac{1}{A_i^{\alpha_i}}\sum_{j=0}^{[i/M]}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j+$$

$$+\frac{1}{\ln i}\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=[i/M]+1}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j=F_1+F_2.$$

თუ $1\le\alpha_{k_i}\le b$, $A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}$ კლებადია j-ს მიმართ, მაშინ (1.26) ძალით გვექნება:

$$F_2=\frac{1}{\ln i}\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=[i/M]+1}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j>$$

$$>\frac{1}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=[i/M]+1}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}(1-\varepsilon)\ln j>$$

$$>\frac{(1-\varepsilon)(\ln i-\ln M)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=[i/M]+1}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}=$$

$$=\frac{(1-\varepsilon)(\ln i-\ln M)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\left(\sum_{j=0}^{i}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}-\sum_{j=0}^{[i/M]}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\right)=$$

$$=(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\left(1-\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{[i/M]}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\right)=G_1-G_2.$$

რადგან $A_i^{\alpha_{k_i}-1}$ ზრდადია როგორც i-ს ფუნქცია, ამიტომ

$$G_1=(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right),$$

ხოლო

$$G_2=(1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]}A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\le$$

$$\le (1-\varepsilon)\left(1-\frac{\ln M}{\ln i}\right)\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{k=0}^{[i/M]} A_i^{\alpha_{k_i}-1} =$$

$$= O\left(\frac{i^{-\alpha_{k_i}}\cdot\alpha_{k_i}}{i^{1-\alpha_{k_i}}}\cdot\frac{i}{M}\right) = o(1)\,.$$

(1.26)-ძალით და $A_i^{\alpha_{k_i}-1}$ ზრდადობიდან გვაქვს:

$$F_1 = \frac{1}{\ln i}\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{N} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j + \frac{1}{\ln i}\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=N+1}^{[i/M]} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j \ge$$

$$\ge \frac{C_1(N)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{N} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1} + \frac{1}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=N+1}^{[i/M]} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}(1-\varepsilon)\ln j \ge$$

$$\ge \frac{C_1(N)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{N} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1} + \frac{(1-\varepsilon)\ln N}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=N+1}^{[i/M]} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1} \ge$$

$$\ge \frac{C_1(N)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{k=0}^{N} A_{i-N}^{\alpha_{k_i}-1} + \frac{(1-\varepsilon)\ln N}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{k=N+1}^{[i/M]} A_{i-[i/M]}^{\alpha_{k_i}-1} =$$

$$= O\left(\frac{i^{-\alpha_{k_i}}\cdot\alpha_{k_i}}{\left(i-N\right)^{1-\alpha_{k_i}}\ln i}\right) + O\left(\frac{i^{-\alpha_{k_i}}\cdot\alpha_{k_i}}{\ln i\cdot\left(i-i/M\right)^{1-\alpha_{k_i}}}\cdot\left(\frac{i}{M}-N\right)\right) =$$

$$= O\left(\frac{1}{i\ln i}\right) + O\left(\frac{(i-MN)\cdot\alpha_{k_i}}{i\cdot M^{\alpha_{k_i}}\cdot\ln i}\right) =$$

$$= O\left(\frac{1}{i\ln i}\right) + O\left(\frac{1}{\ln i}\right).$$

აქედან დავასკვნით, რომ

$$\varliminf_{i\to+\infty}\frac{1}{\ln i}\int_0^{\pi}\tau_i^{\alpha_{k_i}}(t)dt = \varliminf_{i\to+\infty}(F_1+F_2) \ge$$

$$\ge \lim_{i\to+\infty}(F_1+G_1-G_2) = \lim_{i\to+\infty}G_1 = 1\,.$$

ახლა შევაფასოთ იგივე გამოსახულება ზემოდან:

$$\frac{1}{\ln i}\int_0^{\pi}\tau_i^{\alpha_{k_i}}(t)dt = \frac{1}{\ln i}\int_0^{\pi}\frac{1}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{i} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\tilde{D}_j(t)dt =$$

$$= \frac{1}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{i} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\int_0^{\pi}\tilde{D}_j(t)dt = \frac{1}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{i} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j =$$

$$= \frac{1}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{N} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j + \frac{1}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=N+1}^{i} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}U_j \le$$

$$\le \frac{C_2(N)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{N} A_i^{\alpha_{k_i}-1} + \frac{1+\varepsilon}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=N+1}^{i} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\ln j \le$$

$$\le \frac{C_2(N)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{k=0}^{N} A_i^{\alpha_{k_i}-1} + \frac{(1+\varepsilon)\ln i}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\left(\sum_{j=0}^{i} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1} - \sum_{j=N+1}^{N} A_{i-j}^{\alpha_{k_i}-1}\right) =$$

$$= \frac{C_2(N)}{\ln i\cdot A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{N} A_i^{\alpha_{k_i}-1} + 1 + \varepsilon - \frac{(1+\varepsilon)}{A_i^{\alpha_{k_i}}}\sum_{j=0}^{N} A_{i-N}^{\alpha_{k_i}-1} =$$

$$=1+\varepsilon+O\left(\frac{i^{-\alpha_{k_i}}}{i^{1-\alpha_{k_i}}\ln i}\right)+O\left(\frac{i^{-\alpha_{k_i}}}{(i-N)^{1-\alpha_{k_i}}}\right)=$$

$$=1+\varepsilon+O\left(\frac{1}{i\ln i}\right)+O\left(\frac{1}{\ln i}\right);$$

ე. ი.

$$\overline{\lim_{i\to+\infty}}\frac{1}{\ln i}\int_0^{\pi}\tau_i^{\alpha_{k_i}}(t)dt\le 1,$$

ამგვარად,

$$\lim_{i\to+\infty}\frac{1}{\ln i}\int_0^{\pi}\tau_i^{\alpha_{k_i}}(t)dt=1.$$

საბოლოოდ გვაქვს

$$\lim_{n\to+\infty}\frac{A_2(n)}{\ln n}=-\frac{d_x(f)}{\pi},$$

ბოლო ტოლობა (1.25)-შეფასებასთან ერთად ამტკიცებს თეორემა 1.1.1-ს.

თეორემა 1.1.2.-ის დამტკიცება

განვიხილოთ $\tilde{\sigma}_n(f;x)$, ინტეგრალში ცვლადის შეცვლით და $\tilde{D}_k(t)$-კენტობიდან გვაქვს

$$\tilde{\sigma}_n(f;x)=-\frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi}f(x-t)\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k(t)dt=$$

$$=-\frac{1}{\pi}\int_0^{\pi}(f(x+t)-f(x-t))\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k(t)dt=$$

$$=-\frac{1}{\pi}\int_0^{\pi}(f(x+t)-f(x-t)-d_x(f))\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k(t)dt-$$

$$-\frac{d_x(f)}{\pi}\int_0^{\pi}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k(t)dt=A_1(n)+A_2(n).$$

ჯერ დავამტკიცოთ თეორემის ა) ნაწილი. (1.6)-ის ძალით, ნებისმიერი დადებითი $\varepsilon>0$ რიცხვისთვის მოიძებნება ისეთი დადებითი $\delta=\delta(\varepsilon)>0$ რიცხვი, რომ

$$\frac{1}{\delta}\int_0^{\delta}|\varphi(x,t)|du<\varepsilon.$$

მაშინ ვინაიდან $\lim_{n\to+\infty}q(n)=+\infty$ ავიღოთ n იმდენად დიდი, რომ $1/q(n)<\delta$. გვაქვს

$$A_1(n)=-\frac{1}{\pi}\int_0^{\pi}\varphi(x,t)\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k(t)dt\le$$

$$\le\frac{1}{\pi}\int_0^{1/q(n)}\left|\varphi(x,t)\right|\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\left|\tilde{D}_k(t)\right|dt+$$

$$+\frac{1}{\pi}\int_{1/q(n)}^{\delta}\left|\varphi(x,t)\right|\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\left|\tilde{D}_k(t)\right|dt+$$

$$+\frac{1}{\pi}\int_{\delta}^{\pi}\left|\varphi(x,t)\right|\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\left|\tilde{D}_k(t)\right|dt = B_1+B_2+B_3 .$$

რადგან $\left|\tilde{D}_k(t)\right|\le k$ (იხ. [21], (5.11)), ამიტომ

$$B_1 \le A_n\frac{q(n)}{\pi}\int_0^{1/q(n)}\left|\varphi(x,t)\right|dt < \frac{\varepsilon\cdot A_n}{\pi},$$

სადაც $A_n=\sum_{k=1}^{+\infty}a_{nk}$ და $\lim\limits_{n\to+\infty}A_n=1$.

რადგან $\left|\tilde{D}_k(t)\right|\le 2/t$ (იხ. [21], (5.11)) ამიტომ ნაწილობითი ინტეგრებით გვექნება

$$B_2 \le \frac{2A_n}{\pi}\int_{1/q(n)}^{\delta}\left|\varphi(x,t)\right|\frac{1}{t}dt = \frac{2A_n}{\pi}\int_{1/q(n)}^{\delta}\frac{1}{t}d\int_0^t\left|\varphi(x,u)\right|du =$$

$$=\frac{2A_n}{\pi}\frac{1}{t}\int_0^t\left|\varphi(x,u)\right|du\Bigg|_{1/q(n)}^{\delta}+\frac{2A_n}{\pi}\int_{1/q(n)}^{\delta}\frac{1}{t^2}\int_0^t\left|\varphi(x,u)\right|du \le$$

$$=\frac{2A_n}{\delta}\int_0^{\delta}\left|\varphi(x,u)\right|du+\frac{2A_nq(n)}{\pi}\int_0^{1/q(n)}\left|\varphi(x,u)\right|du+$$

$$+\varepsilon 2A_n\int_{1/q(n)}^{\delta}\frac{1}{t}dt \le 2\varepsilon A_n\ln q(n),$$

ამასთან, ფუნქციის ინტეგრებადობიდან გამომდინარეობს

$$B_3 \le 2\cdot A_n\cdot\int_{\delta}^{\pi}\left|\varphi(x,t)\right|\frac{1}{t}dt \le$$

$$\le\frac{2\cdot A_n}{\delta}\int_{\delta}^{\pi}\left|\varphi(x,t)\right|dt \le \frac{2\cdot A_n}{\delta}\int_0^{\pi}\left|\varphi(x,t)\right|dt = O(1).$$

ამრიგად,

(1.27) $$\lim_{n\to+\infty}\frac{A_1(n)}{\ln q(n)}=0 .$$

განვიხილოთ

$$A_2(n) = -\frac{d_x(f)}{\pi}\int_0^{\pi}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k(t)dt =$$

$$=-\frac{d_x(f)}{\pi}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\int_0^{\pi}\tilde{D}_k(t)dt = -\frac{d_x(f)}{\pi}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}U_k .$$

შემდეგ (1.26)-ის ძალით გვექნება

$$\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}U_k = \sum_{k=0}^{N}a_{nk}U_k+\sum_{k=N+1}^{q(n)}a_{nk}U_k \le$$

$$\le C_2(N)\sum_{k=0}^{N}a_{nk}+(1+\varepsilon)\ln q(n)\sum_{k=N+1}^{q(n)}a_{nk} \le$$

$$\le C_2(N)A_n+(1+\varepsilon)A_n\ln q(n) .$$

მივიღებთ

$$\overline{\lim_{n\to+\infty}}\left(\frac{-\pi}{d_x(f)}\cdot\frac{A_2(n)}{\ln q(n)}\right)\le 1,$$

უკანასკნელი, (1.27) და $\tilde{\sigma}_n(f;x)$-ის წარმოდგენა ამტკიცებს თეორემა 1.1.2-ის ა) ნაწილს.

ბ) განვიხილოთ ნებისმიერი $\beta\in[0;1]$ და ავაგოთ $\beta(n)\to\beta$ მიმდევრობა ისე, რომ როცა $n\to+\infty$, მაშინ $q^{\beta(n)}(n)\to+\infty$. (a_{nk}) მატრიცი განვსაზღვროთ შემდეგნაირად

$$a_{nk}=\begin{cases}1, & \text{თუ } k=[q^{\beta(n)}(n)],\\ 0, & \text{თუ } k\neq[q^{\beta(n)}(n)].\end{cases}$$

ცხადია, (a_{nk}) რეგულარული მატრიცია.

ვინაიდან $q^{\beta(n)}(n)\to+\infty$, ამიტომ (1.26) ძალით გვაქვს

$$\frac{1}{\ln q(n)}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}U_k=\frac{U_{\left[q^{\beta(n)}(n)\right]}}{\ln q(n)}\le\frac{(1+\varepsilon)\cdot\ln\left[q^{\beta(n)}(n)\right]}{\ln q(n)}\le$$
$$\le\frac{(1+\varepsilon)\cdot\ln q^{\beta(n)}(n)}{\ln q(n)}\le(1+\varepsilon)\cdot\beta(n)\,,$$

ე. ი.

$$\overline{\lim_{n\to+\infty}}\frac{1}{\ln q(n)}\int_0^{\pi}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k(t)dt\le\beta\,.$$

მეორე მხრივ,

$$\frac{1}{\ln q(n)}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}U_k=\frac{U_{\left[q^{\beta(n)}(n)\right]}}{\ln q(n)}\ge\frac{(1-\varepsilon)\cdot\ln\left[q^{\beta(n)}(n)\right]}{\ln q(n)}\ge$$
$$\ge\frac{(1-\varepsilon)\ln(q^{\beta(n)}(n)/2)}{\ln q(n)}=(1-\varepsilon)\cdot\beta(n)-\frac{(1-\varepsilon)\ln 2}{\ln q(n)}\,.$$

ვინაიდან $\lim\limits_{n\to+\infty}q(n)=+\infty$, ამიტომ

$$\underline{\lim_{n\to+\infty}}\frac{1}{\ln q(n)}\int_0^{\pi}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k(t)dt\ge\beta\,;$$

ე. ი.

$$\lim_{n\to+\infty}\frac{1}{\ln q(n)}\int_0^{\pi}\sum_{k=0}^{q(n)}a_{nk}\tilde{D}_k(t)dt=\beta\,.$$

საბოლოოდ უკანასკნელი და (1.27) შეფასებებიდან, $\tilde{\sigma}_{q(n)}(f;x)$-ის და $A_2(n)$-ის წარმოდგენიდან გვაქვს

$$\lim_{n\to\infty}\frac{\tilde{\sigma}_{q(n)}(f;x)}{\ln q(n)}=\lim_{n\to+\infty}\frac{A_1(n)+A_2(n)}{\ln q(n)}=-\frac{\beta\cdot d_x(f)}{\pi}\,.$$

თეორემა 1.1.2 დამტკიცებულია.

1.4. ლოკალურად ჯამებადი ფუნქციების ფურიეს შეუღლებული ტრიგონომეტრიული მწკრივების ყოფაქცევის შესახებ ძირითადი თეორემების დამტკიცება

თეორემა 1.2.1-ის დამტკიცება.

განვიხილოთ $\tilde{S}_n^{L_n}(f;x)$,

$$\tilde{S}_n^{L_n}(f;x) = -\frac{1}{L_n}\int_{-L_n}^{L_n} f(t)\tilde{D}_n^{L_n}(t-x)dt$$

ინტეგრალში ცვლადის შეცვლით $u = t - x$ მივიღებთ

$$\tilde{S}_n^{L_n}(f;x) = -\frac{1}{L_n}\int_{-L_n-x}^{L_n-x} f(x+u)\tilde{D}_n^{L_n}(u)du\,,$$

მეორეს მხრივ თუ ცვლადს შევცვლით $-u = t - x$ და გავითვალისწინებთ, რომ $\tilde{D}_k^L(t)$ კენტი ფუნქციაა t-ს მიმართ, მივიღებთ

$$\tilde{S}_n^{L_n}(f;x) = \frac{1}{L_n}\int_{-L_n+x}^{L_n+x} f(x-u)\tilde{D}_n^{L_n}(u)du\,,$$

საბოლოოდ ინტეგრალის ადიციურობის ძალით გვექნება

$$\tilde{S}_n^{L_n}(f;x) = -\frac{1}{2L_n}\int_{-L_n-x}^{L_n-x} f(x+u)\tilde{D}_n^{L_n}(u)du +$$

$$+\frac{1}{2L_n}\int_{-L_n+x}^{L_n+x} f(x-u)\tilde{D}_n^{L_n}(u)du =$$

$$= -\frac{1}{2L_n}\int_{-L_n+x}^{L_n-x} (f(x+u)-f(x-u))\tilde{D}_n^{L_n}(u)du -$$

$$-\frac{1}{2L_n}\int_{-L_n-x}^{-L_n+x} f(x+u)\tilde{D}_n^{L_n}(u)du +$$

$$+\frac{1}{2L_n}\int_{L_n-x}^{L_n+x} f(x-u)\tilde{D}_n^{L_n}(u)du = A_1 + A_2 + A_3\,. \tag{1.28}$$

განვიხილოთ A_1. ვინაიდან $f(x+u) - f(x-u)$ და $\tilde{D}_n^{L_n}(u)$ u-ს მიმართ კენტი ფუნქციებია, ამიტომ გვექნება

$$A_1 = -\frac{1}{2L_n}\int_{-L_n+x}^{L_n-x} (f(x+u)-f(x-u))\tilde{D}_n^{L_n}(u)du =$$

$$= -\frac{1}{L_n}\int_{0}^{L_n-x} (f(x+u)-f(x-u))\tilde{D}_n^{L_n}(u)du =$$

$$= -\frac{1}{L_n}\int_{0}^{L_n} (f(x+u)-f(x-u))\tilde{D}_n^{L_n}(u)du +$$

$$+\frac{1}{L_n}\int_{L_n-x}^{L_n} (f(x+u)-f(x-u))\tilde{D}_n^{L_n}(u)du = B_1 + B_2\,. \tag{1.29}$$

განვიხილოთ $\tilde{D}_n^{L_n}(u)$. $\tilde{D}_n(u)$-ის წარმოდგენაში (იხ. [21], თავი II, (5.6)) ცვლადის შეცვლით მივიღებთ შეფასებას $\tilde{D}_n^{L_n}(u)$-თვის:

$$|\tilde{D}_n^{L_n}(u)|\le \frac{1}{\sin(\pi u/2L_n)}.$$

განვიხილოთ B_2. ადვილი დასანახია, რომ (1.8)-ში, ინტეგრალში ცვლადის შეცვლით და ბოლოს მიღებული შეფასების ძალით დავადგენთ, რომ

$$B_2 \le \frac{1}{L_n}\int_{L_n-x}^{L_n} |f(x+u)-f(x-u)|\cdot|\tilde{D}_n^{L_n}(u)|\,du \le$$

$$\le \frac{1}{L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{L_n-x}^{L_n} |f(x+u)-f(x-u)|\,du \le$$

$$\le \frac{1}{L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{L_n-x}^{L_n} \left(|f(x+u)|+|f(x-u)|\right)du =$$

(1.30) $$= \frac{1}{L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\left(\int_{L_n}^{L_n+x} |f(t)|\,dt + \int_{-L_n+2x}^{-L_n+x} |f(t)|\,dt\right) = O(1).$$

განვიხილოთ A_2 და A_3. მაშინ B_2-ის მსგავსად, (1.8)-ისა და ინტეგრალში ცვლადის შეცვლის ძალით მივიღებთ შეფასებებს:

$$|A_2|\le \frac{1}{2L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{-L_n-x}^{-L_n+x} |f(x+u)|\,du =$$

(1.31) $$= \frac{1}{2L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{-L_n}^{-L_n+2x} |f(t)|\,dt = O(1),$$

და

$$|A_3|\le \frac{1}{2L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{L_n-x}^{L_n+x} |f(x-u)|\,du =$$

(1.32) $$= \frac{1}{2L_n\sin[\pi(L_n-x)/2L_n]}\int_{-L_n+2x}^{-L_n} |f(t)|\,dt = O(1).$$

განვიხილოთ B_1,

$$B_1 = -\frac{1}{L_n}\int_0^{L_n} (f(x+u)-f(x-u)-d_x(f))\tilde{D}_n^{L_n}(u)\,du -$$

$$-\frac{d_x(f)}{L_n}\int_0^{L_n} \tilde{D}_n^{L_n}(u)\,du = C_1 + C_2.$$

შევაფასოთ C_1. (1.6)-ის ძალით ნებისმიერი დადებითი $\varepsilon>0$ რიცხვისთვის, მოიძებნება დადებითი რიცხვი (საზოგადოდ დამოკიდებული ε-ზე) $\delta=\delta(\varepsilon)$ ისეთი, რომ

(1.33) $$\frac{1}{\delta}\int_0^{\delta} |\varphi(x,t)|\,du < \varepsilon.$$

ავიღოთ n იმდენად დიდი, რომ $1/n<\delta$, მაშინ მივიღებთ

$$C_1 = -\frac{1}{L_n}\int_0^{1/n} \varphi(x,u)\tilde{D}_n^{L_n}(u)\,du - \frac{1}{L_n}\int_{1/n}^{\delta} \varphi(x,u)\tilde{D}_n^{L_n}(u)\,du -$$

(1.34) $$-\frac{1}{L_n}\int_{\delta}^{L_n} \varphi(x,u)\tilde{D}_n^{L_n}(u)\,du = -D_1 - D_2 - D_3.$$

(1.10)-ის ძალით ადვილად დავასკვნით, რომ

(1.35) $$|\tilde{D}_n^{L_n}(u)|\le n.$$

ამიტომ ყოველი u-თვის. (1.33)-ის ძალით გვექნება

(1.36) $$|D_1|\le \frac{n}{L_n}\int_0^{1/n}|\varphi(x,u)|\,du<\frac{\varepsilon}{L_n}.$$

$\left|\tilde{D}_k(t)\right|\le 2/t$ (იხ. [21], (5.11)), ამიტომ (1.10)-ის გამო და ცვლადის შეცვლით, ადვილად დავასკვნით, რომ

(1.37) $$|\tilde{D}_n^{L_n}(u)|\le \frac{2L_n}{\pi u},\ \ 0<u\le L_n.$$

მაშასადამე ნაწილობითი ინტეგრებით მივიღებთ შემდეგ შეფასებას

$$|D_2|\le \frac{1}{L_n}\int_{1/n}^{\delta}|\varphi(x,u)|\frac{2L_n}{\pi u}du=\frac{2}{\pi}\int_{1/n}^{\delta}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du=$$

$$=\frac{2}{\pi}\int_{1/n}^{\delta}\frac{1}{u}d\int_0^u|\varphi(x,t)|\,dt=\frac{2}{\pi}\frac{1}{u}\int_0^u|\varphi(x,t)|\,dt\Big|_{1/n}^{\delta}+$$

$$+\frac{2}{\pi}\int_{1/n}^{\delta}\frac{1}{u^2}\int_0^u|\varphi(x,t)|\,dtdu=\frac{2}{\pi}\frac{1}{\delta}\int_0^{\delta}|\varphi(x,t)|\,dt-$$

$$-\frac{2n}{\pi}\int_0^{1/n}|\varphi(x,t)|\,dt+\frac{2}{\pi}\int_{1/n}^{\delta}\frac{1}{u^2}\int_0^u|\varphi(x,t)|\,dtdu\le$$

(1.38) $$\le\frac{2\varepsilon}{\pi}\left(2+\int_{1/n}^{\delta}\frac{du}{u}\right)=\frac{2\varepsilon}{\pi}(2+\ln\delta-\ln 1+\ln n))=o(\ln n).$$

ამასთან, (1.11) და (1.37)-ის ძალით გვექნება

$$|D_3|\le\frac{1}{L_n}\int_{\delta}^{L_n}|\varphi(x,u)|\frac{2L_n}{\pi u}du=\frac{2}{\pi}\int_{\delta}^{L_n}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du=$$

$$=\frac{2}{\pi}\int_{\delta}^{1}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du+\frac{2}{\pi}\int_1^{L_n}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du\le\frac{2}{\pi\delta}\int_{\delta}^{1}|\varphi(x,u)|\,du+$$

(1.39) $$+\frac{2}{\pi}\int_1^{L_n}\frac{|\varphi(x,u)|}{u}du=O(1)+o(\ln n).$$

(1.36)-(1.39)-დან გამომდინარეობს შემდეგი შეფასება

(1.40) $$\lim_{n\to+\infty}\frac{C_1}{\ln n}=0.$$

განვიხილოთ C_2. მაშინ ინტეგრალში ცვლადის $u=\pi t/L_n$ შეცვლით

$$\int_0^{L_n}\tilde{D}_n^{L_n}(t)dt=\sum_{i=1}^{n}\int_0^{L_n}\sin(\pi it/L_n)dt=$$

$$=\frac{L_n}{\pi}\sum_{i=1}^{n}\int_0^{\pi}\sin itdt=\frac{L_n}{\pi}\sum_{i=1}^{n}\frac{-\cos it}{i}\Big|_0^{\pi}=$$

$$=\frac{L_n}{\pi}\left(\sum_{i=1}^{n}\frac{1}{i}-\sum_{i=1}^{n}\frac{(-1)^i}{i}\right)=\frac{2L_n}{\pi}\left(1+\frac{1}{3}+\ldots+\frac{1}{2k+1}\right),$$

სადაც $k=[(n-1)/2]$. გვაქვს

$$\frac{2L_n}{\pi}\left(1+\frac{1}{3}+\ldots+\frac{1}{2k+1}\right)=$$

$$=\frac{2L_n}{\pi}\left[\left(1+\frac{1}{2}+\frac{1}{3}+\ldots+\frac{1}{2k+1}\right)-\frac{1}{2}\left(1+\frac{1}{2}+\frac{1}{3}+\ldots+\frac{1}{k}\right)\right]\simeq$$

$$\simeq\frac{2L_n}{\pi}\left(\ln k-\frac{1}{2}\ln k\right)=\frac{L_n}{\pi}\ln k\,.$$

ვინაიდან $\ln k\simeq\ln n$, მივიღეთ, რომ

(1.41) $$\int_0^{L_n} D_n^{L_n}(t)dt\simeq\frac{L_n}{\pi}\ln n\,.$$

უკანასკნელის ძალით გვექნება

(1.42) $$\lim_{n\to+\infty}\frac{C_2}{\ln n}=-\frac{d_x(f)}{\pi}\,.$$

საბოლოოდ (1.28)-(1.32), (1.40) და (1.42) შეფასებების ძალით გვაქვს (1.12) რაც ამტკიცებს თეორემის (i) ნაწილს.

(ii) განვიხილოთ ფუნქცია

(1.43) $$f_0(x)=\begin{cases}-2, & \text{თუ} \quad x\in[-1;0];\\ 2, & \text{თუ} \quad x\in(0;1).\end{cases}$$

ეს ფუნქცია გავაგრძელოთ მთელს ღერძზე პერიოდით 2.

L_n მიმდევრობა ავაგოთ შემდეგნაირად $L_n=\sqrt[4]{n}$.

ცხადია, რომ f_0 ფუნქცია 0-წერტილში განიცდის პირველი გვარის წყვეტას და $d_0(f_0)=4$. ვინაიდან f_0 ფუქცია 2-ით პერიოდულია, $\varphi(0,t)$ ფუნქციაც 2-ით პერიოდულია და

$$\varphi(0,t)=\begin{cases}0, & \text{თუ} \quad t\in[0;1);\\ -8, & \text{თუ} \quad t\in[1;2).\end{cases}$$

აღნიშნულიდან გამომდინარე ადვილი საჩვენებელია, რომ სრულდება (1.6) პირობა. საკმარისად მცირე h-ებისთვის $0<h<1$ გვაქვს

(1.44) $$\lim_{h\to0+}\frac{1}{h}\int_0^h|\varphi(0,t)|\,dt=\lim_{h\to0+}\frac{1}{h}\int_0^h 0dt=0\,.$$

ვაჩვენოთ, რომ ამგვარად განსაზღვრული L_n მიმდევრობისთვის და (1.43) ფუნქციისთვის სრულდება (1.13), ვინაიდან $\varphi(0,t)$ პერიოდულია პერიოდით 2. ამიტომ ნაწილობითი ინტეგრებით გვექნება:

$$\int_1^{L_n}\frac{\varphi(0,t)}{t}dt=\int_1^{L_n}\frac{1}{t}d\int_0^t\varphi(0,s)ds=\frac{1}{t}\int_0^t\varphi(0,s)ds\Bigg|_1^{L_n}+$$

$$+\int_1^{L_n}\frac{1}{t^2}\int_0^t\varphi(0,s)dsdt=\frac{1}{L_n}\int_0^{L_n}\varphi(0,s)ds-\int_0^1\varphi(0,s)ds+\int_1^{L_n}\frac{1}{t^2}\int_0^t\varphi(0,s)dsdt=$$

$$=\frac{1}{L_n}\sum_{k=1}^{[L_n/2]}\int_{2k-2}^{2k}\varphi(0,s)ds+\int_{2[L_n/2]}^{L_n}\varphi(0,s)ds-\int_0^1\varphi(0,s)ds+$$

$$+\int_1^2\frac{1}{t^2}\int_0^t\varphi(0,s)dsdt+\int_2^{L_n}\frac{1}{t^2}\int_0^t\varphi(0,s)dsdt=$$

$$=\frac{1}{L_n}\sum_{k=1}^{[L_n/2]}\int_0^2 \varphi(0,s)ds + O(1)+\int_2^{L_n}\frac{1}{t^2}\int_0^t \varphi(0,s)dsdt=$$

$$=O(1)+\int_2^{L_n}\frac{1}{t^2}\left(\sum_{k=1}^{[t/2]}\int_{2k-2}^{2k}\varphi(0,s)ds+\int_{2[t/2]}^{t}\varphi(0,s)ds\right)dt=$$

$$=O(1)+\int_2^{L_n}\frac{1}{t^2}\left(\sum_{k=1}^{[t/2]}\int_0^2\varphi(0,s)ds+O(1)\right)dt=$$

$$=O(1)-8\int_2^{L_n}\frac{1}{t^2}[t/2]dt=O(1)-4\int_2^{L_n}\frac{1}{t^2}2[t/2]dt=$$

$$=O(1)-4\int_2^{L_n}\frac{1}{t^2}(t-(t-2[t/2])dt=$$

$$=O(1)-4\int_2^{L_n}\frac{1}{t^2}(t-O(1))dt=O(1)-4\int_2^{L_n}\frac{dt}{t}=$$

(1.45) $$=O(1)-4\ln t\Big|_2^{L_n}=O(1)-4\ln L_n\simeq -\ln n\,.$$

განვიხილოთ $\tilde{S}_n^{L_n}(f_0;0)$. შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სამართლიანია (1.28)-(1.38) წარმოდგენები და შეფასებები. შესაფასებელი რჩება D_3 შესაკრები (1.34) წარმოდგენიდან.

$$D_3=\frac{1}{L_n}\int_\delta^{L_n}\varphi(0,u)\tilde{D}_n^{L_n}(u)du=$$

(1.46) $$=\frac{1}{L_n}\int_\delta^{2}\varphi(0,u)\tilde{D}_n^{L_n}(u)du+\frac{1}{L_n}\int_2^{L_n}\varphi(0,u)\tilde{D}_n^{L_n}(u)du=E_1+E_2\,.$$

განვიხილოთ E_1, (1.37) შეფასების თანახმად

(1.47) $$|E_1|\le\frac{1}{L_n}\int_\delta^2|\varphi(0,u)|\frac{2L_n}{\pi u}du\le\frac{2}{\pi\delta}\int_\delta^2|\varphi(0,u)|du=O(1)\,.$$

შევაფასოთ E_2.

$$E_2=\frac{1}{L_n}\int_2^{L_n}\varphi(0,u)\tilde{D}_n^{*L_n}(u)du+$$

(1.48) $$+\frac{1}{2L_n}\int_2^{L_n}\varphi(0,u)\sin(\pi nu/L_n)du=F_1+F_2\,,$$

სადაც

$$\tilde{D}_n^{*L_n}(u)=\tilde{D}_n^{L_n}(u)-\frac{1}{2}\sin(\pi nu/L_n)\,.$$

კარგადაა ცნობილი ([21], (5.2)), რომ

$$\tilde{D}_n^{*}(u)=\tilde{D}_n(u)-\frac{1}{2}\sin(\pi nu)=\frac{1-\cos nu}{2\tan(u/2)}\,.$$

ამიტომ (1.10)-ის ძალით და ცვლადის შეცვლით, ადვილად დავასკვნით, რომ

(1.49) $$\tilde{D}_n^{*L_n}(u)=\frac{1-\cos(\pi nu/L_n)}{2\tan(\pi u/2L_n)}\,.$$

შევაფასოთ F_2. $\varphi(0,u)$-ის არადადებითობის და პერიოდულობის გამო გვექნება

(1.50) $$|F_2| \le \frac{1}{2L_n}\int_2^{L_n}|\varphi(0,u)|\,du \le \frac{1}{2L_n}\int_2^{L_n}8du = 4\,.$$

ვინაიდან $\varphi(0,u)$ არაუარყოფითია, განვიხილოთ $-F_1$. (1.49) წარმოდგენის ძალით და ნაწილობითი ინტეგრებით გვაქვს

$$-F_1 = \frac{-1}{L_n}\int_2^{L_n}\varphi(0,u)\frac{1-\cos(\pi nu/L_n)}{2\tan(\pi u/2L_n)}du =$$

$$= \frac{-1}{2L_n}\int_2^{L_n}\varphi(0,u)\frac{1-\cos(\pi nu/L_n)}{\sin(\pi u/2L_n)}\cos(\pi u/2L_n)du \ge$$

$$\ge \frac{-1}{2L_n}\int_2^{L_n/2}\varphi(0,u)\frac{1-\cos(\pi nu/L_n)}{\sin(\pi u/2L_n)}\cos(\pi u/2L_n)du \ge$$

$$\ge -\frac{\sqrt{2}}{4L_n}\int_2^{L_n/2}\varphi(0,u)\frac{1-\cos(\pi nu/L_n)}{\sin(\pi u/2L_n)}du \ge$$

$$\ge -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\varphi(0,u)\frac{1-\cos(\pi nu/L_n)}{u}du =$$

$$= -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{u}d\int_0^u\varphi(0,s)(1-\cos(\pi ns/L_n))ds =$$

$$= -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\frac{1}{u}\int_0^u\varphi(0,s)(1-\cos(\pi ns/L_n))ds\Bigg|_2^{L_n/2} -$$

$$-\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{u^2}\int_0^u\varphi(0,s)(1-\cos(\pi ns/L_n))dsdu =$$

$$= -\frac{\sqrt{2}}{\pi L_n}\int_0^{L_n/2}\varphi(0,s)(1-\cos(\pi ns/L_n))ds +$$

$$+\frac{\sqrt{2}}{4\pi}\int_0^2\varphi(0,s)(1-\cos(\pi ns/L_n))ds -$$

(1.51) $$-\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{u^2}\int_0^u\varphi(0,s)(1-\cos(\pi ns/L_n))dsdu = -G_1+G_2-G_3\,.$$

განვიხილოთ G_1. $\varphi(0,u)$-ის არაუარყოფითობის, პერიოდულობისა და მარტივი უტოლობის ($|1-\cos(\pi ns/L_n)|\le 2$) ძალით დავანდგენთ, რომ $G_1 = O(1)$. მსგავსი მსჯელობით დავასკვნით, რომ $G_2 = O(1)$.

შევაფასოთ $-G_3$:

$$-G_3 = -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{u^2}\int_0^u\varphi(0,s)(1-\cos(\pi ns/L_n))ds = -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{u^2}\int_0^u\varphi(0,s)dsdu +$$

(1.52) $$+\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{u^2}\int_0^u\varphi(0,s)\cos(\pi ns/L_n))dsdu = H_1+H_2\,.$$

ადგილი აქვს H_2 შესაკრების შემდეგ წარმოდგენას

$$H_2 = \frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_2^{L_n/2}\frac{1}{u^2}\sum_{k=1}^{[u/2]}\int_{2k-2}^{2k}\varphi(0,s)\cos(\pi ns/L_n))dsdu +$$

(1.53) $$+\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\int_{2[u/2]}^{u}\varphi(0,s)\cos(\pi ns/L_n))dsdu = I_1 + I_2 .$$

განვიხილოთ I_2. გვაქვს

(1.54) $$|I_2| \le \frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\int_{2[u/2]}^{u}|\varphi(0,s)|dsdu \le \frac{4\sqrt{2}}{\pi}\int_{2}^{L_n/2}\frac{du}{u^2} = O(1) .$$

შევაფასოთ I_1. ჯამში თითოეულ შესაკრებში შევცვალოთ ცვლადით $s = t + 2k - 2$ და გამოვიყენოთ φ ფუნქციის პერიოდულობა პერიოდით 2. მაშინ

$$I_1 = \frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\sum_{k=1}^{[u/2]}\int_{0}^{2}\varphi(0,t)\cos(\pi n(t+2k-2)/L_n)dtdu .$$

რადგან $n/L_n \to +\infty$, ამიტომ თანაბრად k-ს მიმართ

$$\int_{0}^{2}\varphi(0,t)\cos(\pi n(t+2k-2)/L_n)dt \to 0 ,\ \ n \to +\infty .$$

ამიტომ, ყოველი $\varepsilon > 0$-თვის მოვძებნით ისეთ n_0 ნომერს, რომ როცა $n > n_0$ და ყოველი k-თვის

$$\left|\int_{0}^{2}\varphi(0,t)\cos(\pi n(t+2k-2)/L_n)dt\right| < \varepsilon .$$

მაშასადამე, გვექნება

$$\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\sum_{k=1}^{[u/2]}\int_{0}^{2}\varphi(0,t)\cos(\pi n(t+2k-2)/L_n)dtdu <$$

$$< \int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\sum_{k=1}^{[u/2]}\varepsilon du < \varepsilon\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\left[\frac{u}{2}\right]du = \frac{\varepsilon}{2}\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}2\left[\frac{u}{2}\right]du\varepsilon =$$

$$= \frac{\varepsilon}{2}\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\left(u - \left(u - 2\left[\frac{u}{2}\right]\right)\right)du = \frac{\varepsilon}{2}\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\left(u - O(1)\right)du =$$

$$= \frac{\varepsilon}{2}\int_{2}^{L_n/2}\frac{du}{u} - \varepsilon\int_{2}^{L_n/2}\frac{O(1)}{u^2}du = o(\ln L_n) .$$

თუ გავითვალისწინებთ L_n-მიმდევრობის განსაზღვრებას, მივიღებთ H_2 შესაკრების შეფასებას:

(1.55) $$H_2 = o(\ln n) .$$

განვიხილოთ H_1 შესაკრები. გამოვიყენოთ φ ფუნქციის პერიოდულობა პერიოდით 2, მაშინ გვექნება

$$H_1 \ge -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\sum_{k=1}^{[u/2]}\int_{2k-2}^{2k}\varphi(0,s)dsdu = -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\sum_{k=1}^{[u/2]}\int_{0}^{2}\varphi(0,s)dsdu =$$

$$= \frac{4\sqrt{2}}{\pi}\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\left[\frac{u}{2}\right]du = \frac{2\sqrt{2}}{\pi}\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}2\left[\frac{u}{2}\right]du =$$

$$= \frac{2\sqrt{2}}{\pi}\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\left(u - \left(u - 2\left[\frac{u}{2}\right]\right)\right)du = \frac{2\sqrt{2}}{\pi}\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}\left(u - O(1)\right)du =$$

$$= \frac{2\sqrt{2}}{\pi}\int_{2}^{L_n/2}\frac{du}{u} - O(1)\int_{2}^{L_n/2}\frac{1}{u^2}du = \frac{2\sqrt{2}}{\pi}\ln L_n + O(1) .$$

საბოლოოდ, თუ გავითვალისწინებთ L_n-მიმდევრობის განსაზღვრებას, მაშინ საკმარისად დიდი n-ებისთვის გვექნება

(1.56)
$$H_1 \geq -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\ln n + O(1).$$

ესე იგი საბოლოოდ (1.52)-(1.56) შეფასებების ძალით გვექნება

$$G_3 \geq -\frac{\sqrt{2}}{2\pi}\ln n + O(1).$$

მაშინ ამ უკანასკნელი შეფასების და (1.46)-(1.48), (1.50) და (1.51) შეფასებების ძალით გვექნება

(1.57)
$$\underline{\lim}_{n\to+\infty}\frac{|D_3|}{\ln n} \geq \frac{\sqrt{2}}{2\pi}.$$

მეორე მხრივ, (1.46) წარმოდგენიდან განვიხილოთ E_2-ის შეფასება. (1.37)-ის ძალით გვაქვს:

$$|E_2| \leq \frac{1}{L_n}\int_2^{L_n}|\varphi(0,u)||\tilde{D}_n^{L_n}(u)|\,du \leq \frac{1}{L_n}\int_2^{L_n}|\varphi(0,u)|\frac{2L_n}{\pi u}\,du = \frac{2}{\pi}\int_2^{L_n}\frac{|\varphi(0,u)|}{u}\,du.$$

(1.45)-შეფასებაზე დაყრდნობით იოლი საჩვენებელია, რომ

$$\frac{2}{\pi}\int_2^{L_n}\frac{|\varphi(0,u)|}{u}\,du \simeq \frac{2}{\pi}\ln n,$$

ანუ

$$\overline{\lim}_{n\to+\infty}\frac{|D_3|}{\ln n} \leq \frac{2}{\pi}.$$

